„15" 04 2010 წ.
№470.230.000.22.035.014.18

**საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის**

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

12 „ 04 " 2010 წ. თბილისი № 92/ნ

## სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოებისას სამედიცინო კლასიფიკატორების გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის 43-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს:

ა) „პირველადი ჯანდაცვის საერთაშორისო კლასიფიკატორის ICPC - 2-R გამოყენების წესი (დანართი 1);

ბ) „სკანდინავიური ქვეყნების ქირურგიული პროცედურების კლასიფიკატორის (NCSP) გამოყენების წესი (დანართი 2);

გ) ლაბორატორიული ჩარევების კლასიფიკატორის გამოყენების წესი (დანართი 3).

2. ბრძანება ამოქმედდეს 2011 წლის 1 მარტიდან.

ირაკლი გიორგობიანი

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი